ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 11/გ

ქ. თბილისი 21 „06" 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, სსიპ **„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამილა ბარკალაიას** სახით და მეორეს მხრივ ფ. პ. „მერი მაღლაფერიძე" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი **მერი მაღლაფერიძის** სახით.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა 2017 წლის გაეროს ქალთა ორგანიზაციის გრანტის ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია" ფარგლებში, შემსყიდველის საჭიროებისათვის სატრენინგო მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-კოდი 80500000; დეტალური CPV-კოდი 80510000 - მომსახურებები სპეციალისტების მომზადების სფეროში) შესყიდვა"ზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 750 (შვიდასორმოცდაათი ლარი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და გაწევის პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს „სექსუალური ძალადობის საკითხებზე" (სამართლებრივი კუთხით) სატრენინგო მომსახურება.

3.2. მომსახურების ღირებულება სულ შეადგენს 750 (შვიდასორმოცდაათი ლარი) ლარს. მათ შორის 600 (ექვსასი) ლარი ხელზე ასაღები თანხა, ხოლო 150 (ასორმოცდაათი) ლარი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი.

3.3 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის 25 ივნისს და 29 ივნისს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

4.2 მომსახურების დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს დადგენილი წესის მიხედვით.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

5.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ხელშეკრულების 4.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.1.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს დღის წესრიგი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში.

7. მხარეთა უფლება

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების (მათ შორის ვადაგადაცილებულ) მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამოარ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების
შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული
შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების დაფასების გადასინჯვა

9.1თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან
დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით
მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარე მათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

12,2 . შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით;

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1მხარეთა შეთანხმებით;

13.1.2. ხელშეკრულების 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

13.1.3.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ფონდის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გენადი სადუნიშვილი

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 14.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, ინსპექტირების დასკვნის და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან'.'

„შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	ფ.პ. „მერი მაღლაფერიძე“
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა	ქ. თბილისი, ჩიქოვანის 36 ბინა 14
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
კოდი N° TRESGE22	კოდი TBCBGE22
ა/ა N°GE24NB0330100200165022	ბ/კ. GE12TB7020645066300001
ს/კ № 205169592	პირადი # 01015006344
თამილა ბარკალაია დირექტორი	მერი მაღლაფერიძე ფიზიკური პირი